# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

22 აგვისტო ხუთშაბათი
2024 წელი
№34 (9348)
ფასი 40 თეთრი


## სამუშაო თათბირი



**სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ბესიკ ამირანაშვილის ხელმძღვანელობით რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან სამუშაო თათბირი გაიმართა.**

შეხვედრაზე რეგიონის მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელეს. ყურადღება გამახვილდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული მოედნების მშენებლობა/რეაბილიტაციის, წყალმომარაგების, გაზიფიცირებისა და სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე.

გარდა ამისა საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **დავით ვარდიაშვილი,** მოადგილე **შოთა როსტიაშვილი** და აპარატის უფროსი **გიორგი მიქელაძ**ე ესწრებოდნენ.

## „ქართული ლიგის“ ფესტივალი ბორჯომში



**ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში „ქართული ლიგის“ ფესტივალი გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და უნივერსიტეტის გუნდები მონაწილეობდა.**

ფესტივალის გამარჯვებული ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „ქსუ“ გახდა. II ადგილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა „შერეკილი“ დაიკავა, ხოლო III ადგილზე ქედის მუნიციპალიტეტის გუნდი „ცოლიკაური“ გავიდა.

მონაწილეები კომპეტენტურმა ჟიურიმ - **დავით ზაალიშვილმა, შოთა გელაშვილმა, ზვიად ბლიაძემ, გიორგი გაბუნიამ, ნიკოლოზ მახვილაძემ, დავით ლიკლიკაძემ** შეაფასა. საღამოს კი **ჯიმი აბესაძე** უძღვებოდა.

ფესტივალს მერის მრჩეველი კულტურის დარგში **გიორგი ბუგიანიშვილი,** საკრებულოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

## მიმდინარეობს კორპუსების რეაბილიტაცია

**ბორჯომში უკვე რამდენიმე თვეა მრავალბინიანი და კულტურული მემკვიდრეობის მქონე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამშენებლო ორგანიზაცია შპს „საბა კონსტრაქშენი“ ახორციელებს. გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია დაინტერესდა მიმდინარე სამუშაოებით, შეხვდა პროექტის მენეჯერს, ბატონ ვლადიმერ გათაშვილს და სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე ესაუბრა:**



● **ბატონო ვლადიმერ, რამდენი შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას ახორციელებს თქვენი კომპანია ბორჯომის მუნიციპალიტეტში?**

- პირველ რიგში მინდა გითხრათ ჩვენი კომპანიიის შესახებ, რომ კომპანია ,,საბა კონსტრაქშენი“ ახდენს როგორც უშუალოდ პროექტირებას, ასევე სამუშაოების განხორციელებასაც, შესაბამისად ეტაპობრივად ხდება დამკვეთისაგან კონკრეტული წინადადებების მოწოდება შენობების თაობაზე და სწორედ ამის შემდეგ ერთდროულად ვიწყებთ პროექტირებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მუშაობას, რაც შეეხება ბორჯომს, ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს ქალაქში მდებარე ხუთი შვიდსართულიანი კორპუსისა და ერეკლეს ქუჩაზე მდებარე თექვსმეტსართულიანი შენობის რეაბილიტაცია და ექვსივე კორპუსის სამუშაოები დასრულდება 2024 წლის ოქტომბრისათვის.

● **სასწავლო წელი ცოტა ხანში განახლდება და მოსახლეობას აინტერესებს, როდის დასრულდება №6 საჯარო სკოლის პროექტი, რომლის რეაბილიტაციასაც ასევე თქვენი კომპანია ახდენს.**

- ბორჯომის №6 საჯარო სკოლის რებილიტაცია დავიწყეთ 2023 წლის ოქტომბერში. სამუშაოების დამკვეთი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო გახლავთ. ამ პერიოდის განმავლობაში, მოხდა სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილ ყველა ეტაპს მოიცავდა. ამ ეტაპზე სამუშაოები ფაქტიურად დასრულებისკენ მიდის. პროექტის ფარგლებშივე მოხდება ეზოს რეაბილიტაციაც. აღნიშნული პროექტის დასრულებას რაც შეეხება, ვადა გვაქვს 2024 წლის დეკემბრის ბოლომდე, თუმცა ვცდილობთ, რომ პროექტი ვადაზე ადრე, სექტემბრის ბოლომდე ჩავაბაროთ.

● **ახლო მომავალში რომელი ქუჩებისა და შენობა-ნაგებობების რებილიტაცია იგეგემება დამატებით თქვენი კომპანიის მხრიდან?**

- მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი კომპანია სამუშაოებს ახორცილებს ბორჯომ-პარკში, ყოფილი გორკის ქუჩაზე მდებარე კიბის აღდგენას. ასევე მიმდინარეობს ,,ციცინათელას“ შენობის, კოსტავას ქუჩასა და 9 აპრილის ქუჩებზე მდებარე შენობების და ყოფილი რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციაც. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტი არის სამწლიანი, რომელიც 2024 წლიდან დაიწყო და შემდეგი წლებისთვის დასრულდება.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

## შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან



**რეგიონული მედიის წარმომადგენლებს საარჩევნო სიახლეები იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომელსიც 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის იქნება გამოყენებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა პირადად გააცნო.**

ცესკოს თავმჯდომარემ ვრცლად ისაუბრა ადმინისტრირებისათვის განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების, საქართველოში საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის, ამ მიმართულებით არსებული გამოცდილებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

გაიმართა ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების დემონსტრირება და იმიტირებული კენჭისყრა. მედიის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის დამთვლელი აპარატების მუშაობა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ჟურნალისტებმა უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრაში, საარჩევნო ელექტრონული აპარატების მნიშვნელობასა და გამართულ მუშაობაზე დასმულ შეკითხვებს პასუხები ხაზგასმით გაეცა პირველი პირებისგან.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ **დავით ღონღაძემ** საქართველოში არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები პრეზენტაციის სახით წარმოადგინა.

ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი შარაბიძემ** კი საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები დეტალურად გააცნო, ხოლო სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა **ქეთევან დანგაძემ** ისაუბრა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგიასა და ინფორმირების კამპანიას 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისათვის.

დეტალური ინფორმაციის გაცნობის შემდეგ აქტიური დისკუსიის რეჟიმში ამომწურავად ისაუბრეს ყველა აქტუალურ საკითხზე.

ალსანიშნავია, რომ ახალი ფორმატის ფარგლებში მედიასთან შეხვედრებს საარჩევნო ადმინისტრაცია პერიოდულად მართავს.

აღინიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტულია, ყველა ამომრჩეველს ჰქონდეს თანაბარი სერვისების მიღების შესაძლებლობა.

ელექტრონული არჩევნები ნიშნავს:

**გამარტივებულ პროცედურებს;**

**შემცირებულ რიგებს - ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორთან მისვლის შესაძლებლობას;**

**ამომრჩეველთა მონაწილეობის უტყუარ დადასტურებას;**

**წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემცირებულ დროს;**

**შედეგების სიზუსტესა და სანდოობას;**

**ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების მინიმუმამდე დაყვანას;**

**ბიულეტენი უნიკალურია - შენი ხმა დაცულია. ელექტრონული აპარატების მუშაობისას კიბერჩარევის საფრთხე არ არსებობს, იგი არ არის დაკავშირებული ინტერნეტის ქსელთან.**

**იზა იანვარაშვილი**

## რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაში



**ბორჯომის მუნიციპალიტეტში წაღვერის პარკის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია. პროექტი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

პარკი 10 500 კვ.მ. ფართობზე გაშენდება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი სივრცეები, ფანჩატურები, საცოცი კედელი, ხიდები, წყლის არხი და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე განთავსდება კაფე და სხვა კომერციული ობიექტები. მოეწყობა ფოტოგადაღების ჯიხური „ფოტო ხაჩიკა“ და მისი მონუმენტი. დამონტაჟდება ე.წ ,,მჟავე წყლის““ ბიუვეტი.

- ახსოვთ აქ მცხოვრებ და ჩამოსულ დამსვენებლებს რა მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა იყო, დღეს ხედავთ, რა ფართო მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობს. წაღვერი საკურორტო დაბაა და ჩვენი გუნდის უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულება კურორტზე ინფრასტრუქტურის განვითარებაა, - განაცხადა ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**



**ახალდაბაში ბორჯომის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.**

**პროექტის ფარგლებში ეწყობა ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები, გარე განათების სისტემა და შიდა საუბნო გზები.**

**სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.**

**აღნიშნული პროექტი ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამუშაოები სხვადასხვა ობიეტებზე დაწყებულია და წლის ბოლომდე გაგრძელდება.**

### სისტემა მოსაწესრიგებელია

# პენსიონერებს უპასუხისმგებლოდ ემსახურებიან!




თუკი წინა წლების სტატისტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ გასულ წლებთან შედარებით პენსიონერებს პენსია საგრძნობლად მოემატათ. ასევე ყველაზე კარგი რამ, რაც ისევ აღნიშნულ სისტემაში დარეგულირებულ სიტუაციას ეხება, გახლავთ ის, რომ ყველა პენსიონერს პენსიის აღება თვის კონკრეტულ რიცხვში შეუძლია. აღნიშნული საკითხი ასე თუ ისე იმ ქაოსს საგრძნობლად ამცირებს, რაც რეალურად პენსიის ასაღებად მისულ პენსიონერებს ხვდებოდათ ხოლმე ,,ლიბერთი ბანკში". ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ქაოსის მომსწრე მეც ბევრჯერ ვყოფილვარ, რადგანაც ბანკომატში თანხის არასაკმარისი ან სულაც არ არსებობის გამო, პენსიონერებს საათობით უწევდათ რიგში დგომა, რათა ოპერატორთან აეღოთ კუთვნილი პენსია. მეც პირადად, ორი პენსიონერი მშობელი მყავს და როდესაც მშობლები ფიზიკურად ვერ ახერხებენ საკუთარი პენსიის ასაღებად ბანკში მისვლას, პლასტიკური ბარათით თავისუფლად შემიძლია გავიტანო მათი პენსია. თუმცა, აი სწორედ მანდ არის ძაღლის თავი... ბორჯომის ,,ლიბერთი ბანკის" შესასვლელთან ორი ბანკომატია დამონტაჟებული, რომელთაგანაც ერთ-ერთში თანხა თითქმის არასდროს არ არის და ვაი იმ დღეს, თუ თანხა ორივე ბანკომატში არ დაგხვდით, მითუმეტეს, როდესაც ნათესავს ან ახლობელს აქვს აღნიშნული ბარათი მიბარებული და პენსიონერისთვის ის პენსია იმ დღეს შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს და სამწუხაროდ, პენსიონერის გარეშე ოპერატორისგან თანხის გატანა ხომ არ შეგიძლია, ამ დროს იძულებული ხდები, რომ პენსიის გარეშე დაბრუნდე. ყველაზე უარესი რამ კი რასაც მხოლოდ აღნიშნულ ბანკში შეხვდებით და არც ერთ ბანკში სხვაგან არსად, გახლავთ ის, რომ კონსულტანტები ელვის სისწრაფით იცვლებიან და მიზეზიც დაუდგენელია. შეიძლება ვივარაუდოთ ან ხელფასია მათთვის დაბალი, ან კიდევ იმ ზარმაც თანამშრომელთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებსაც მთელი დღის მანძილზე ბანკომატთან დგომა და საბანკო სისტემის მუშაობაში გაურკვეველი პენსიონერების დახმარება ეთაკილებათ, ან კიდევ ეზარებათ. აბა სხვა რაიმეს როგორ შეიძლება მივაწეროთ ის ფაქტი, რომ რამდენჯერ ბანკომატთან რიგში მდგარს გამიგონია, რომ არ შეუძლიათ პენსიის გამოტანა ბარათიდან, ბანკის კონსულტანტს დაუძახეს, დახმარება სთხოვეს, თუმცა დგნან დიდი ხანია და არავინ მათი ყურადღების მიმქცევი არაა. რამდენ პენსიონერს დავხმარებივარ პენსიის გამოტანაში და პირიქით, უფროსების დახმარება მსიამოვნებს კიდეც, თუმცა რიგში მდგარს, ლამის ბოლოს მიწევს პენსიის აღება და ბოლოს გამოსულა ვიღაც. ე.წ. ,,კონსულტანტი" იმ პენსიონერის დასახმარებლად, რომელმაც ალბათ ნახევარ საათზე მეტი ხნის წინ სთხოვა დახმარება და რომელსაც პენსიის გამოტანაში მე დავეხმარე, ვინ იცის ის პენსიონერი უკვე სახლშიც მივიდა და ამან კიდევ, როცა მოიცალა და მოესურვა მაშინ იკადრა და გამობრძანდა. სამწუხაროდ, არა მხოლოდ მე, როგორც ორი პენსიონერის შვილი ვარ უკმაყოფილო, არამედ ბევრი პენსიონერისგანაც მსმენია საყვედურები, რომ ნუთუ არ შეიძლება, რომ სამუშაო საათებში ,,ლიბერთი ბანკს" რამდენიმე კონსულტანტი მაინც ემსახურებოდეს? რომ ერთმანეთს შეენაცვლონ, პესნიონერებს დაეხმარონ და მათ ნერვებზე ნუ ითამაშებენ? ზუსტად რამდენიმე დღის წინ, მშობლების მორიგი პენსიის გამოსატანად მისული, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ გაუმართავი და მართლაც თავგასული ბანკის თანამშრომელთა უპასუხმგებლობით, რომელთაც მართლა ,,ფეხებზე ჰკიდიათ" პენსიონერების ყოფა, რა ყოფაშიც ისინი ყოველ თვეში ამყოფებენ.

მორიგი პენსიის გამოსატანად, ერთ-ერთ ბანკომატთან მისულს, სადაც ჩემდა გასაკვირად კონსულტანტი დამხვდა, რომელიც მოქალაქეს ესაუბრებოდა და მე, ბარათმომარჯვებული რომ ბანკომატთან მივსულიყავი და პენსია გამომეტანა, უცებ ტრიალდება და მეუბნება, - არც ერთ ბანკომატში არ არის თანხა და გატანას ვერ შეძლებთ. კიბეებზე ვიღაც ქალბატონიც ამოდის და შორიდანვე აღელვებული ხმით ეკითხება, ისევ არ არის ხომ არც ერთ ბანკომატში თანხა? - არ არის, პასუხობს ,,ქალბატონი კონსულტანტი". აი, მეც უკვე ველარ ვიკავებ თავს. კი მაგრამ, როდემდე შეიძლება ბანკში, სადაც პენსიონერები დადიან, ყველაზე მოწესრიგებული სისტემა უნდა იყოს, ადამიანები სისტემატურად უკმაყოფილოები არ უნდა ბრუნდებოდნენ ოჯახებში?

- ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ეს ქაოსი? და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას? ელვის სისწრაფით ვასრულებ ჩემ სათქმელს და ვხედავ თავდახრილ კონსულტანტს, რომელიც პატარა ბავშვივით შეშინებული ხმით მპასუხობს, - გეთანხმებით, მართალი ბრძანდებით და ბოდიში. კი მაგრამ, ბოდიში საქმეს შველის? იმდენად აღელვებული ვარ, რომ ერთ წამს ბანკის მმართველთან შესვლაც კი გავიფიქრე საყვედურის სათქმელად, მაგრამ უცებ მახსენდება მთავარი შესასვლელი კარის ,,სიმძიმე", რომელსაც ახალგაზრდა ადამიანი ძლივს აღებს, უკვე აღარ მინდა ფსიქოლოგიურად დამძიმებულს კიდევ დამატებით ბანკის ე.წ. ,,ცხრაკლიტულის" გაღება და მივაძახე კონსულტანტს, რომ შეხვალთ, თქვენ უფროსს გადაეცით, გაზეთში რომ ამოკითხავთ იმ ყველაფრის შესახებ, რასაც აქ ყოველდღიურად განიცდიან ადამიანები, მერე პრობლემა ნუ გექნებათ-თქო. კონსულტანტმა უაზრო პასუხის გაცემა აღარ მოისურვა, თავი ჩაღუნა და შეტრიალდა. წამოვედი გულდამძიმებული და საშინელმა ფიქრებმა ამიტანა, გული უარესად დამიმძიმდა იმ მართლაც საშინელი მდგომარეობის ფონზე, რასაც პენსიონერები ყოველ თვეში ხვდებიან ,,ლიბერთი ბანკში". სამწუხაროდ, პესნიონერთა უმრავლესობას ხომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და ხანგრძლივი დროით ლოდინი და მითუმეტეს საათობით ფეხზე დგომა არ შეუძლიათ? ისინი ხშირად მართლაც საათობით დგანან აქ კუთვნილი პენსიის ასაღებად და კომუნალური გადასახადების გადასახდელად სკამიც კი არ დგას, რომ დაღლილობისგან დაქანცულები დასხდნენ.

**P.S. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვთხოვთ მათ, ვისაც ამის გამოსწორება ხელეწიფება, იქნებ და დაფიქრებულიყვნენ და ამ პენსიონერი მოქალაქეების ადგილზე საკუთარი ასაკოვანი ოჯახის წევრები წარმოედგინათ? აი მაშინ კი დარწმუნებული ვარ, რომ სულ სხვანაირად მოიქცეოდნენ. ,,სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო", ხომ გაგიგიათ, ჰოდა, ამ სხვის ჭირსაც დასასრული რომ არ უჩანს, სამწუხარო სწორედ ეს არის.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# რეზერვისტის ჩანაწერები (რეალური ისტორია აგვისტოს ომის ცხელი წერტილიდან)

**– 2008 წლის 8 აგვისტო – ერთ-ერთი უმძიმესი და ტკივილიანი დღეა საქართველოს ისტორიაში. აგვისტოს ომი – ჩვენი ისტორიაა!**

**მახსოვს, ზურგიდან ჩახოცილი ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობა... მახსოვს დიდი ქვეყნების მუხანათობა, როგორც ყოველთვის, მტერს რომ შეგვატოვებდნენ ხოლმე!**

**მახსოვს, ჩვენი შვილების გმირული თავგანწირვა და მსხვერპლად შეწირვა!**

**აცრემლებული, ატირებული პატრიარქიც მახსოვს, კაბა გახდილი... გმირებს რომ უფენდა. და აგვისტოში ცეცხლის წვიმას მზეც რომ ვერ მოერია...**

**8 აგვისტო მწარედ გვახსოვს და გვტკივა! გვტკივა ჩვენი სამშობლო, ჩვენი ტერიტორიები.**

**საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული დღიდან 16 წელი გავიდა. ქედს ვიხრი ომში დაღუპული ყველა გმირის წინაშე. საუკუნო ხსენება იყოს მათი...**

**დიდება გმირებს!**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ამ ომში დაიღუპა 169 სამხედრო პირი, 228 მშვიდობიანი მოქალაქე და 14 პოლიციელი.**

**დაიჭრა და დაშავდა 1045 სამხედრო მოსამსახურე. ბორჯომიდან დაიღუპა ახალდაბელი დევი ჩადუნელი და შალვა გაბუნია, ხოლო სამცხე-ჯავახეთიდან ექვსი სამხედრო მოსამსახურე.**



**მივდივარ...**

ყოველთვის ხმაურიან და ბობოქარ მატარებელში ახლა სიჩუმე გამეფებულა... სიჩუმე, რომელიც კიდევ უფრო მზარავს და მენატრება ბრბოს ყაყანი, რომელიც ერთ დროს ასე მაღიზიანებდა. გავცქერი ჩაბნელებულ ქუჩებს და წარმოსახვაში ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა სურათები - წარსულის, ტკბილი მოგონებების და მომავალზე ფიქრიც კი... უფრო სწორედ მომავალზე, რომელიც უნდა წამართვან, რომელიც საერთოდ არ გავს იმ მომავალს, რომელიც წარმომედგინა...

თითქოს მთელმა ცხოვრებამ თვალწინ გამიელვა... მახსოვს, როგორი ბედნიერი ვიყავი პატარა, შემდეგ იყო ბრძოლა, გამარჯვება, შიგადაშიგ დამარცხებებიც და ისევ ბრძოლა...

ახლაც ბრძოლა იწყება, ოღონდ ახლა უკვე პირდაპირი მნიშვნელობით. ბრძოლა, რომელიც უკვე წაგებულია.

მივდივარ და ვტოვებ ჩემს განუყრელ ლეპტოპს, ჩემს ახალ კამერას, სასწავლებელს, რომელშიც ახლახანს ჩავაბარე გამოცდები, ახალ სამსახურს, სადაც ორი კვირის წინ გადმოვედი, ანაბარს პროკრედიტ ბანკში და რაც მთავარია, უამრავ საყვარელ ადამიანს, რომლებიც შეიძლება ვერასდროს ვიხილო. სკაიპშიც ოპტიმისტური წარწერა დავტოვე: ,,"მე დავბრუნდები!""" თუმცა, ამის ყველაზე ნაკლებად მჯერა.

წავალ... წავალ და რამდენიმე თვეში დავიწყებასაც მივეცემი, სადღეგრძელოებში მომიხსენიებენ როგორც გმირს და... საერთოდ რა აზრები მიტრიალებს თავში. ვცდილობ, ვიფიქრო ხალხზე, ვინც მიყვარს და ვისი ღირებულებაც ამ მძიმე წუთებში განსაკუთრებით მძაფრად შევიგრძენი...

დანიშნულების ადგილამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება და მეც უფრო და უფრო მძაფრად ვგრძნობ სიკვდილის ცხელ სუნთქვას ჩემს სხეულზე... ვგრძნობ, როგორ მივიწევ ზეცისკენ... მივდივარ და გტოვებთ... და იმედს ვიტოვებ, ამ ყველაფერს ოდესმე მაინც წაიკითხავთ და გაიგებთ თუნდაც ოდნავ მეტს ჩემს შესახებ... გაიგებთ, რომ მწყუროდა სიცოცხლე, ბედნიერება და...

ჩემი ჩურჩული მესმის. ვხვდები, რომ უკვე ხმამაღლა ვფიქრობ. ვგრძნობ, როგორ მიკანკალებს ქვედა ყბა და ტუჩები მლაშე სითხით მისველდება. ვტირი? აქ? მთელი ამ ხალხის წინაშე? თუ ადრე ჩემი ცრემლები მხოლოდ მე მინახავს, სარკეში, ახლა ამას ყველა ხედავს, თუმცა რაღა აზრი აქვს... ნერვიულად ვიკვნეტ ტუჩებს...

- ...თქვენი ბილეთი" - ბოხი, ჩახლეჩილი ხმით თავზე მადგას ახალგაზრდა, ჩასუქებული გამცილებელი ქალი და ხელს მიშვერს.

მე თავს ვაბრუნებ მისკენ ისე, რომ თვალებში არ ვუყურებ და ბილეთს ვაწვდი.. - „ყველაფერი კარგად იქნება" - თითქოს მთელ სხეულში მივლის მისი სევდიანი ხმა და მხარზე მის თბილ ხელს ვგრძნობ. ვგრძნობ, როგორ მეჩრება ყელში რაღაც ბურთისმაგვარი და მთელი ძალით ვუჭერ ხელებს მის უხეშ ხელს.

- ...რა საშინელებაა" - მესმის ქალის ხმა, აშკარად მე მესაუბრება. თავს ვუქნევ. -...რამდენი უდანაშაულო ადამიანი უნდა შეიწიროს ამ ომმა, ან ვის ვებრძვით" - აგრძელებს ნერვიულად, - „ახლახანს ჩემი მეზობლის ბიჭი გაიწვიეს რეზერვში, ისეთი, რომელმაც იარაღის ხმარებაც არ იცის, ღმერთმა იცის, რა ბედი ეწევა, რა უაზროდ უნდა მოკვდეს"""

ნერვიულად მეცინება.

- ...მეც რეზერვისტი ვარ, ქალბატონო და ახლა სწორედ იქ მივდივარ" - თითქოს სადღაც შორიდან მესმის ჩემი ხმა. მისკენ არ ვიხედები, ქალბატონი ჩუმდება.

უკვე აღარ ვტირი. უბრალოდ ვცახცახებ და ეს არ არის შიში. ეს არის მოულოდნელობისა და გაურკვევლობის შეგრძნება. შეგრძნება უმწეობის და არარაობისა. საშინელებაა გაცნობიერება იმის, რომ ხარ მარიონეტი, რომელიც უმოწყალოდ უნდა განადგურდეს სპექტაკლის ბოლოს, მხოლოდ იმიტომ, რომ სანახაობა შთამბეჭდავი გამოვიდეს. ვხვდები, რომ მძულს ეს სისხლიანი თეატრიც, სცენარისტიც, რეჟისორიც და ყველა უმწეო მარიონეტი საკუთარი თავის ჩათვლით!

თენდება. ახლა, როცა ყველაზე მეტად მჭირდება თანადგომა, ისე მარტო ვარ, როგორც არასდროს. გამორთული ტელეფონიც ავისმომასწავებლად დუმს...

ჩვენი ბაზა არ შეცვლილა, ისევ ისეთია როგორიც დავტოვე ერთი თვის წინ, მაგრამ მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე მომიწევდა დაბრუნება და მითუმეტეს ასეთ ვითარებაში...

თითქოს ისევ ავივსე ენერგიით და ვამხნევებ შიშისგან დაზაფრულ ხალხს. იმდენად ვერთობი ამ ყველაფრით, რომ ჩემი თავი მავიწყდება...

-...გამთენიისას ცხინვალში შევყავართ" - მესმის აღშფოთებული ხმა, რომელიც მრავლდება და ბრბოს დიდ ჩოჩქოლად იქცევა. ჩემთვის სულერთია, მე უკვე გამოვიტირე საკუთარი თავი, მე ხომ ერთი სიკვდილი უკვე გავათავე (ამ ფრაზას ხშირად იყენებენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ისე, რომ არც კი იციან მისი რეალური მნიშვნელობა. მე უკვე ვიცი...).

თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, უკვე ყველა რაღაცაზე საუბრობს, მხოლოდ მე არ მტოვებს უსიამოვნო შეგრძნება, თითქოს რაღაც საშინელი უნდა მოხდეს, თითქოს სიკვდილი აქვეა ჩასაფრებული და მოთმინებით ელის თავის მსხვერპლს.

ცარიელი იარაღებით სანგრის წინ ვწევართ და ათასგვარ სისულელეზე ვსაუბრობთ დროის გაყვანის მიზნით, არცთუ უშედეგოდ. თითქოს სასოწარკვეთის პირველმა ტალღამ უკვე გადაიარა...

მართალია ყველამ ვიცით, რომ კარგს არაფერს უნდა ველოდოთ, მაგრამ არც ისეთ საშინელს, რაც ამის შემდგომ ხდება.

ვხედავ მხოლოდ ჩვენს თავზე მფრინავ ორ შემზარავ სხეულს, რომლებიც რაღაც მოელვარე ბურთებს ყრიან.

-...გვბომბავენ"!!! - ისმის განწირული ხმა და მომენტალურად ყველაფერი იცვლება.

მე ვერაფერს ვგრძნობ და ვერც ვფიქრობ, თავდაცვის ინსტინქტები ავტომატურად ირთვება. ვერ ვხედავ რა ხდება, ვინ საით გარბის ან სად უნდა გაიქცეს, მივსდევ ბრბოს და მზად ვარ ყველაფრისთვის. ბოლო რაც მახსოვს, ძლიერი წნევაა, რომელიც რამდენიმე მეტრით წინ გვაგდებს.

...ახლა სანგარში ვარ, სადღაც ნესტიან კუთხეში მიგდებული და გონს ვერ მოვსულვარ, ხმებიც თითქოს შორიდან მესმის. გარეთ უკუნეთი სიბნელეა. ვერ ვაცნობიერებ რა მოხდა, თითქოს სიზმარში ვარ, თითქოს ეს ყველაფერი ჩემს თავს არ ხდება. თითქოს მალე გავიღვიძებ და გავაგრძელებ ბედნიერ ცხოვრებას, ამ ყველაფერთან შედარებით კი უბედნიერესს. ვნანობ ჩემს ყველა უკმაყოფილებას რაც იყო აქამდე და თავს სიტყვას ვაძლევ რომ ბედნიერი ვიქნები, თუ რათქმა უნდა ჩემი ცხოვრება აქ არ დასრულდება.

-...აქედან ფეხი არავინ მოიცვალოს" - მესმის ვიღაცის აცახცახებული, მაგრამ მაინც ომახიანი ხმა.

- დაღუპულებს, როცა გათენდება, მაშინ მოვძებნით.

დაღუპულებს?! - ეს სიტყვა თითქოს ტყვიასავით მივლის სხეულში, შემდეგ კი წვრილ ნამსხვრევებად იფშვნება და ყველა უჯრედს მტკივნეულად ესობა.

თითქოს თავში მთელი ძალით დამკრეს ჟანგიანი კონდახი და გამომაფხიზლეს.

ვერაფერს ვხედავ, თითქოს ყველაფერი ერთ დიდ შავ ტალღად იქცა და ამოტრიალდა... მესმის როგორ აწვდიან ინფორმაციას ვიღაცას. მე კი ვერც ვაცნობიერებ, რომ ვინმეს ტელეფონი გამოვართვა და დავრეკო. თითქოს ვხედავ, როგორ დაირაზმა ასობით მანქანა, სავსე სასოწარკვეთილი მშობლებით და ჩვენსკენ მოექანება. ვგრძნობ, რა ხდება მათ გულებში და მათთან ერთად მტკივა.

მინდა წამოვდგე, გავიქცე, ვიყვირო, მაგრამ ძალა აღარ შემწევს...

...თენდება ყველაზე შემზარავი დილა ჩემს ცხოვრებაში. ახლა როგორც არასდროს, ისე არ მინდა გათენება, არ მინდა ვნახო ის, რაც სანგრის გარეთ დამხვდება...

ჯგუფებად გავყავართ სანგრებიდან. გვერდს ვუვლი ნაწილებად დაფლეთილ რეზერვისტებს და გულიც ათასობით ნაწილად მეფლითება. რაღაც ზებუნებრივი ძალა მაიძულებს ვიარო, თითქოს ზომბირებული ვარ და ვიღაც უხილავი პულტით მმართავს.

გამოვდივართ ველიდან და თვალწინ გვეშლება მანქანებთან შეჯგუფული ხალხის მასა. ვუახლოვდებით. მესმის როგორ ეკითხება ნერვიულად შავებში ჩაცმული ქალი ყველა გამოსულ რეზერვისტს, ხომ არ უნახავთ მისი შვილი, პასუხად კი ყველა მხრებს იჩეჩავს და თავდახრილი აგრძელებს გზას. არავის შესწევს ძალა პირში მიახალოს მწარე სიმართლე...

მესმის როგორ კივის ახალგაზრდა ქალი განწირული ხმით... ვხედავ როგორ ასულიერებენ ვიღაცას.

მივიდვარ და მინდა ამ ყველაფერს რაც შეიძლება მალე მოვშორდე, იმიტომ რომ, მეტი აღარ შემიძლია, ვგრძობ, რომ ცოტაც და მკერდში რაღაც იფეთქებს და ჩემი სიცოცხლეც მათ ხანმოკლე სიცოცხლესთან ერთად დასრულდება!..

და აი, ვხედავ ნაცნობ მანქანას და ნაცნობ სახეებს, მინდა ვიყვირო, მინდა გავიქცე, მაგრამ არ შემიძლია.

მესმის ხმები, რომ ყველანი ვაბარებთ იარაღს და სახლებში გვიშვებენ, მე კი იარაღი ისევ ხელში მაქვს ჩაბღუჯული, ჩემი ჟანგიანი ავტომატი, რომელიც ყოველ მეხუთე ტყვიაზე იჭედებოდა.

უკვე მხედავენ და ჩემსკენ მოემართებიან მთელი სისწრაფით.

ვგრძნობ როგორ მეხსნება მხრებიდან უმძიმესი ტვირთი და მიწას ენარცხება. მასთან ერთად მეც მოწყვეტით ვენარცხები მრავალი უდანაშაულოთა სისხლით მორწყულ მიწას. მტკივა ყველა უჯრედი, მაგრამ ეს ტკივილი არაფერია იმასთან შედარებით რაც შიგნით, სულის სიღრმეში მტკივა.

ყელში თითქოს რაღაც მაქვს გაჩრილი და მახრჩობს. წამები თითქოს საუკუნეებად იქცნენ, მე ველი... და უაზროდ ვაშტერდები მშვიდ, ლურჯ ცას, რომელიც თეთრი ფაფუკი ღრუბლებით დაფარულა.

ვერ ვფიქრობ... უბრალოდ ვგრძნობ...

ვგრძნობ, რომ უკვე აღარ წვავს სიკვდლის ცხელი სუნთქვა ჩემს სხეულს.

ვგრძნობ, რომ სულ რაღაც წამებში ამიტაცებენ ხელში, ჩამტენიან მანქანაში და გამაქანებენ შორს, შორს ამ ტკივილისგან, კოშმარისგან და სასოწარკვეთისგან. ვგრძნობ, როგორ მიყვარხართ ყველანი, ვინც აქ ხართ და ვინც შორს, მაგრამ ახლა, ამ წუთსაც ჩემზე ფიქრობთ და ამაოდ ცდილობთ ჩემთან დარეკვას... ვგრძობ, რომ ცხოვრების ეს ეტაპი სამუდამოდ დასრულდა, მაგრამ ვერასდროს ამოვშლი მეხსიერებიდან. ვგრძნობ გაუსაძლის ტკივილს და ისე მინდა ვიტირო, როგორც არასდროს, მაგრამ ყელში გაჩრილი ბურთი არ მაძლევს ამის ნებას. ვგრძნობ, როგორ ძლიერდება ფეხის ხმა. ვგრძნობ, როგორ იფარება ჩემს თავზე ცა, მრავალი ნაცნობი, ცრემლმორეული სახით. ვგრძნობ რაოდენ ძვირფასია სიცოცხლე...

**გურამ შეროზიას ბლოგი**

მოიძია **ნანა კეველიშვილმა**

იუბილარი

# დედა ეკლესიის ერთგული მსახური

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრს 1981 წლიდან, (ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის ყოფილ მმართველს), ამჟამად მანგლისის და თეთრიწყაროს ეპარქიის მმართველს, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს, რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს, ქართული უნივერსიტეტის ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერ-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ანანიას (თენგიზ ანატოლის-ძე ჯაფარიძეს) მიმდინარე წლის 20 აგვისტოს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.**

**ბორჯომი-ბაკურიანის ეპარქია მართლმადიდებლური ეკლესიის მორწმუნე მრევლი, მისი პირადი მეგობრები და ბორჯომის საზოგადოებრიობა გულწრფელად ულოცავს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მიტროპოლიტ ანანიას დაბადების საიუბილეო თარიღს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის და საპატრიარქოს ავტორიტეტის კიდევ უფრო სრულყოფილი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.**



მეუფე ანანია არჩეულია ბორჯომის, ტყიბულის, თეთრიწყაროს და ახალციხის საპატიო მოქალაქედ.

**მიტროპოლიტი ანანია** (ჯაფარიძე) დაიბადა 1949 წლის 20 აგვისტოს. 1974 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკა-კავშირგაბმულობის ფაკულტეტი, მცხეთის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში ბერად აღიკვეცა და ეწოდა ანანია. 1979 წელს ხელდასმულ იქნა დიაკვნად, ხოლო იმავე წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ ხელდასმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა თბილისის წმინდა სამების ძველი ტაძრის წინამძღვრად, ხოლო 1980 წელს მღვდელ-მონაზონი ანანია დაინიშნა ალავერდის მონასტრის წინამძღვრად. იმავე წელს მიენიჭა იღუმენის წოდება, ხოლო ერთი წლის შემდეგ არქიმანდრიტის წოდება.

1981 წლის დასაწყისში წმინდა სინოდის მიერ არქიმანდრიტი ანანია გამორჩეულ იქნა საეპისკოპოსო კანდიდატად და იმავე წლის 15 მარტს უწმინდესმა პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძარში აკურთხა ეპისკოპოსად და დაადგინა ნიკორწმინდის ეპარქიიას მმართველად.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიზნად დაისახა ისტორიულ მესხეთში ქრისტიანობისა და ქართული სულიერების აღორძინება. დაარსდა ახალციხის და სამცხე-ჯავახეთის ეპარქია, რომლის მმართველად 1981 წლის 29 აპრილს დაინიშნა ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ამავე დროს ანანია დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს სამეურნეო-საფინანსო განყოფილების გამგედ.

იმხანად სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში მოქმედებდა წმინდა მარინეს სახელობის ერთადერთი ეკლესია (ახალციხის რაბათში), ხოლო მესხეთის დანარჩენი ეკლესია-მონასტრები ათეისტური რეჟიმის გამო ღვთისმსახურების გარეშე იყო მიტოვებული. მეუფე ანანიამ უფლის შემწეობით საფარის, ვარძიის, ზარზმის, უდეს, ვალეს, ხვილიშას, აბასთუმნის და სხვა ეკლესიები აკურთხა და აამოქმედა.

ეპისკოპოსმა ანანიამ 1990 წელს დააარსა ახალციხის სასულიერო სასწავლებელი (სემინარია), რომელიც ამავე დროს იყო საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. მის კურსდამთავრებულებს დიპლომი უფლებას ანიჭებდა ეღვაწა საშუალო სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებლად.

საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ 80-იან წლებში რამდენჯერმე მოილოცა სამცხე-ჯავახეთის ეპარქია და გააფართოვა მისი საზღვრები. კერძოდ, ეპარქიის გამგებლობას დაემატა ბორჯომის რაიონიც, სადაც მეუფე ანანიამ აკურთხა ბორჯომის, ახალდაბის, სადგერის, ტიმოთესუბნის და სხვა ეკლესიები. დალოცა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის ღვთისმსახურები, მრავალ ეკლესია-მონასტერში აღავლინა პირველი წირვა.

1992 წლის 25 დეკემბერს, მეუფე ანანიას მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დაინიშნა მანგლისის ეპარქიის მმართველად. 1995 წელს ჩამოყალიბდა მანგლისის და წალკის ეპარქია, რომლის მმართველად დაინიშნა მეუფე ანანია.

2001 წლის 15 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი ანანია აღევლინა მიტრიპოლიტის ხარისხში.

1991 წლიდან მეუფე ანანია სათავეში ჩაუდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრას, უნივერსიტეტის დიდ საბჭოს სხდომას ესწრებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც განაცხადა: **,,გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმინდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა, ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია“.** მალე თეოლოგიის კათედრას სამეცნიერო ცენტრი ეწოდა, ხოლო მიტროპოლიტი ანანია სრული პროფესორის სტატუსით დღესაც ხელმძღვანელობს ამ ცენტრს.

2007 წელს უწმინდესმა პატრიარქმა თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანა: **,,მეუფე ანანიას მრავალი წყარო აქვს მითითებული, საიდან ვართ, ვინ ვართ და ბოლოს და ბოლოს სად მივდივართ, ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გვქონდა მეცნიერებთან“.**

მანგლისისა და თეთრიწყაროს ეკლესიაში მეუფე ანანიას ლოცვა-კურთხევით მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა და ამოქმედდა.

2005 წელს მიტროპოლიტი ანანია რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი გახდა.

2007 წელს მისმა უწმინდესობამ მიტროპოლიტი ანანია ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. იგი დაჯილდოვებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმინდა მარკოზის ორდენით. 2009 წელს მიტროპოლიტი ანანია ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით, ხოლო 2013 წელს ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

მეუფე ანანიამ 1996-2012 წლებში სამჯერ გამოსცა ,,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეული, იგი 100-ზე მეტი სასულიერო და ისტორიული წიგნების ავტორია.

**მინაწერი: მეუფე ანანიას ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს 90-იან წლებში მოუწია მოღვაწეობა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში. სწორედ იმ წლებში იგრძნობოდა საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციების, მხედრიონის და სხვა არაფორმალური შეიარაღებული ფსევდო-პატრიოტების მხრიდან მეუფე ანანიასადმი და მართლმადიდებლური ეკლესიისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება. იმ მძიმე წლებში ბორჯომის მოსამართლემ დავით ნოზაძემ, ჟურნალისტმა რობერტ ცუცქირიძემ, კურორტვაჭრობის მმართველმა ნუგზარ ნასყიდაშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა თავს ვიდეთ მხარში ამოვდგომოდით მეუფე ანანიას, მასთან შეხვედრები და საუბრები დაგვრჩა ძალიან ტკბილ და დაუვიწყარ მოგონებად.**

**ვალერიან ლომიძე.**

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია!

# დაბაძველის ,,ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის“ სახელობის ეკლესია



,,დაბაძველი“ როგორც სახელწოდებიდან ჩანს ქალაქის ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო, რაზეც მოწმობს ალაგ-ალაგ შემორჩენილი ქვაფენილით მოკირწლული გზის ნაშთები, რომელიც მიემართება ზემოთ ნასოფლარ თორისა და კოდიანის მიმართულებით და ეშვება სოფელ საკირის ზემოთ არსებული ნაქალაქარ-ნასოფლარისაკენ...

ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიის გაყოფის შემდეგ, 1995 წელს ჩამოყალიბდა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა). მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ამ ეპარქიის განვითარებაში. დღეს ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში 50-ზე მეტი მოქმედი ეკლესია მონასტერია. მათ შორის ერთ-ერთია დაბაძველის ტერიტორიაზე მდებარე ,,ივერიის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი“. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც, რომ ,,ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის“ სახელობის ტაძარი ბორჯომის ეპარქიაში ორია. ერთი მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ ვარდგინეთში, ხოლო მეორე ნასოფლარ დაბაძველის ტერიტორიაზე. დაბაძველის ეკლესია XXI საუკუნის კიდევ ერთი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრების ნიმუშია, რომელიც შემაღლებული ბორცვიდან გადმოჰყურებს დაბაძველის დიდებულ ტერიტორიას.

ტაძრის აგების ინიციატორი გახლდათ ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევის მკვიდრი ალექსანდრე სარალიძე. ალექსანდრეს ბავშვობიდან ჰქონდა სურვილი ეკლესიის აშენებისა და როდესაც ფინანსური საშუალება მიეცა ამ წმინდა საქმის განსახორციელებლად, გადაწყვიტა, მიემართა სასულიერო პირებისათვის. იმ დროს დაბაძვლის ახალმოსახლე იყო მამა ლუკა (სუპატაშვილი) რომელიც დღეს თბილისში, დიდ დიღომში არსებულ ,,100 000 ქართველ მოწამეთა სახელობის ეკლესიაში“ მოღვაწეობს. მან მოუწონა ალექსანდრეს განზრახვა და პატრიარქთან მიიყვანა ლოცვა კურთხევის მისაღებად. როდესაც პატრიარქთან შევიდნენ, ტახტზე დაბრძანებული იყო **,,ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი“** სასულიერო პირებმა ერთხმად აღიარეს და გადაწყვიტეს ამ ხატის სახელობის ეკლესიის აგება.

2008 წლის 8 აგვისტოს ტაძრის საძრიკველი გაიჭრა და იკურთხა. მთელი ჭობისხევის მოსახლეობა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით იყო ჩართული ტაძრის მშენებლობაში. ტაძრის ხუროთმოძღვარია სოფელ დვირის მკვიდრი გიორგი პაპიძე. ტაძრის საძირკველში სიმბოლურად ჩაყოლებულია წარწერებიანი ქვები იმ ადამიანების სახელებით ვინც ტაძრის აღმშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა. ტაძრის მშენებლობაში ბლოკთან ერთად რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა გამოყენებული, ხოლო ტაძრის პერანგი მოპირკეთებულია წითელი დეკორატიული აგურით. კედლების ამოყვანა მთლიანად ალექსანდრე სარალიძემ იკისრა, ხოლო კრამიტისებრი, შინდისფერი ტოლფერდა თუნუქის სახურავით გადახურვა მამა ლუკამ. ასევე ტაძარი კანკელით შეამკო მამა ლუკამ. ტაძარმა სრულყოფილი სახე 2011 წლის შემოდგომაზე მიიღო, ხოლო 2012 წლის 8 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა.

ტაძრის კედლების ამოყვანა და ხელოსნობა დაახლოებით 10-15 ათას ლარამდე მერყეობს. აღნიშნულ ტაძარს ერთადერთი შესასვლელი გააჩნია დასავლეთის მხრიდან. ტაძარს გააჩნია 8 სარკმელი ორი- მათგანი გამოჭრილია სამხრეთის კედელში, ორიც ჩრდილოეთის კედელში, ერთი დასავლეთის მხარეს ცენტრალური კარიბჭის ზემოთ, და ერთიც საკურთხეველში (აღმოსავლეთის კედელში) ტრაპეზის ქვის ზემოთ. უჩვეულო ხალხმრავლობა აღინიშნებოდა ტაძრის გახსნის დღესასწაულზე. ბორჯომის რაიონის ეპარქიის სასულიერო პირებმა, ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მეუფე სერაფიმემ, ჭობისხევის ტაძრის წინამძღვარმა მამა ილარიონმა, თბილისიდან ჩამოსულმა სასულიერო პირებმა, მგალობლებმა, სტუმრებმა, მრევლმა და ჭობისხევის მაცხოვრებლებმა ერთობლივი წირვა-ლოცვით აკურთხეს ტაძარი **,,ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე“**. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც რომ, ,,ბორჯომის რაიონში მდებარე წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინაძღვარმა - მამა გერასიმემ და თბილისიდან ჩამოსულმა სასულიერო პირებმა, უშუალოდ კი **,,100 000 მოწამის სახელობის ტაძრის სასულიერო პირებმა“;** მამა სოფრომმა, მამა ირაკლიმ და მამა არჩილმა ჯვარი დასწერეს 11 წყვილს, მათვე მონათლეს ბავშვები და უხუცესები.

**აკაკი სარალიძე,**

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.

# უზედამხედველოდ მიტოვებული პატარების ტრაგედია



**ზუგდიდში ხანძარს ორი ბავშვი ემსხვერპლაო... რა მარტივი წინადადებაა, რა ადვილი გასაგებად...**

**ბავშვები მარტო ყოფილან, ხოლო დედა სამუშაოდ, ელექტრო ენერგია ჩაჭრილი ჰქონიათ, ამიტომაც სანთელი ენთო...**

**სახელმწიფომ რაც შემეძლო ვეხმარებოდიო, მეხანძრემ - როგორც შემეძლო ვასხამდი წყალსო, გამვლელმა და გამომვლელმა მე რა შუაში ვარო, ჩვენ ხომ საერთოდ... თავიდან ვიშორებთ პასუხისმგებლობას.**

**ალბათ ღმერთის ბრალი იქნება, ცოტა სანთლისაც...**

**ჩვენ თავთან რომ მარტო დავრჩებით, იქ გაგვიჭირდება რამდენიმე დღე, თორემ მერე ესეც გაივლის... რამეს მოვიგებთ და დაგვავიწყდება!**

**გასვენებაში სანთლებს დავანთებთ, იმდენს - ვერ დავთვლით...**

**ეს სანთლებიც როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან, არა?!**

**ვიღაცის აბაზანაში ახლა სურნელოვანი სანთელი იწვის და ვიღაც ახლა ანთებს რომანტიკული ვახშმისთვის... ვიღაცას კი დენი აქვს ჩაჭრილი გადაუხდელობის გამო... არა უშავს! გასვენებაში გადავიხდით სანთლებით...**

**უფრო მეტ სისულელესაც დავწერდი, უფრო მშვიდად რომ მეგრძნო თავი, მაგრამ სინდისი უსინდისო რამაა, არ მეშვება და არ მიშვებს...**

**არა! შედეგში სრულიად უდანაშაულო ვარ, მიზეზში მგონია თავი ბრალიანი, ჩუმად და მშვიდად რომ ვუყურებ, როგორ გადაიქცა ჩემი რეალობა ჩემი შვილების მკვლელად!**

**ერთი აუზში კვდება და მეორე მუშაობის დროს მშენებლობაზე, მესამეს თანატოლი კლავს და მეოთხეს ჩვენი თანატოლი მანიაკი...**

**ხან ლოთი თუ ნარკომანი მძღოლია მიზეზი და ხანაც უწყინარი სანთელი...**

**ხან მოძალადე მშობელი და ხანაც უძალადო ნარკოტიკები...**

**ასე, ყოველდღიურად, მაშინ როდესაც მე ჩუმად ვარ და ხმას არ ვიღებ, სიკეთისგან იცლება ეს დედამიწა...**

**ხვალ რომ სკვერს ჩავუვლი და ცარიელ ატრაქციონებს დავინახავ, ღმერთს ვთხოვ გამახსენოს... ჩემი სიჩუმეა ეს გაჩერებული საქანელა...**

**სხვა მხრივ მე არაფერ შუაში ვარ, ღმერთის ბრალი იქნება, ნუ ცოტა სანთლისაც...**

**ნანა კეჟლიშვილი**

### პოეზიის კუთხე

## ბორჯომო – ჩემო – ბორჯომო!

შენ მარტო მთები არა ხარ,
არც ჰაერი და არც წყარო,
შენ უფრო მეტი რამა ხარ,
რითაც აოცებ სამყაროს.

მიწის გულიდან რომ მოჩქეფს,
წყალია მარგებელიო,
და თუ მოწრუპავ თუნდაც წვეთს,
იქნები სულ ჯანმრთელიო.

ანდამატივით იზიდავს
მნახველებს შენი ბაღნარი,
სამოთხეს სხვაგან რად ვეძებთ,
როცა სამოთხე აქ არის.

ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!
მარგალიტი ხარ ციცქნაო,
ყველა ლექსი და სიმღერა
ამ გულმა შენ მოგიძღვნაო.

ცად აშოლტილი ნაძვები,
გზადაგზა გესალმებიან,
მნახველები და სტუმრები
მტკვარის დუდუნით ტკბებიან.

ბუნების ამ საოცრებამ
ტანს რომ სულ მწვანედ აცვია,
ბევრჯერ მტერი და მომხდური
ძმად და მეგობრად აქცია.

წლის არცერთ დროს არ გაკლია,
არც სტუმარი, არც მნახველი
და საზღვრებს იქით გაუთქვი
დღეს საქართველოს სახელი!

ბორჯომო - ჩემო - ბორჯომო!
მართლაც ხარ ნატვრის თვალიო,
სიცოცხლის ელექსირია,
შენი მკურნალი წყალიო.

**ჯემალ ბიბილური**

## ლექციები რელიგიურ თემებზე



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწყო მზადება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოტანა თემის 1700 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.**

ამოქმედდა სამწლიანი 2024-2026 წლების პროგრამა - ,,ქართული თვითმყოფადობა“".

ჩვენს ეპარქიაში, 12 აგვისტოს ბორჯომსა და 13 აგვისტოს ბაკურიანში ჩატარდა ამ პროგრამით გათვალისწინებული ლექციები. მომხსენებლები გახლდნენ: **თეა ინწკირველი** - ხატმწერი, თეოლოგიის დოქტორი, თემა „"ხატის დანიშნულება, ენა და კანონიკა""" და **ნოდარ არონიშიძე** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი (მაგისტრი), გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, თემა - ,,ადრექრისტიანული ხანის (IV-VII სს.) ქართული ხუროთმოძღვრება“.

პროგრამის მიზანია გავიხსენოთ ეროვნული ღირებულებები და თვითმყოფადობა, რათა შევძლოთ ღირსეულად დავიცვათ ჩვენი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.

## ანსამბლ „იმედის“ წარმატებული გამოსვლა



**ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, გაიმართა რეზო ჭანიშვილის სახელობის, სანიმუშო სახალხო ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ სოლო კონცერტი. ღონისძიებაში ანსამბლის უმცროსი და უფროსი თაობა იღებდა მონაწილეობას, ხოლო მუსიკალურად გააფორმა ბენდმა „შარამ“.**

ღონისძიების დასაწყისში ანსამბლი დალოცა ბორჯომის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი).**

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციისა და საპატიო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით ანსამბლ ,,"იმედის""" ხელმძღვანელს **თეა გაბელაიას** გადაეცა ქართული კულტურის სახალხო მოღვაწის საპატიო წოდება, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ვულოცავთ ანსამბლ „იმედს""" წარმატებულ სოლო კონცერტს და ვუსურვებთ წარმატებებს!

## ძვირფასო პირველკურსელებო!



**ბორჯომის მუნიციპალიტეტი 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს დააჯილდოვებს.**

ფულად ჯილდოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულები მიიღებენ.

100% - 1000 ლარი;
70% - 700 ლარი;
50% - 500 ლარი.

**დაინტერესებულმა პირებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

- განცხადება;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში არანაკლებ 9 წელი სწავლების კურსის გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (სამოქალაქო რეესტრი);
- ცნობა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ;
- საბანკო ანგარიშის ნომერი.

## ადამიანები ბორჯომიდან – ისტორია №10



**ქეთევან ნოზაძე, ბორჯომის ტრენინგ ცენტრის დირექტორი.**

თითოეული ამბავი, რომელიც ჩვენს გმირებს ბორჯომთან აკავშირებთ, ამ ქალაქის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. **ქეთევან ნოზაძე** ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა, მისთვის კავშირი ბორჯომთან, მის ქუჩებთან, ულამაზეს ბუნებასთან და ისტორიულ ადგილებთან განსაკუთრებით ძვირფასია. ყველა ადგილი, ინახავს მოგონებას, რომელმაც მისი ცხოვრება განსაზღვრა.

- ბორჯომის ბავშვთა და ახალგაზრდობის ტრენინგ ცენტრი, ჩემი ლამაზი, ნიჭიერი, თვალებანთებული გოგო-ბიჭებით, წლების განმავლობაში ჩემი ენერგიის წყარო გახდა, ამაზე დიდ საქმეს ვერასოდეს გავაკეთებდი, ვიდრე მომავალი თაობის განვითარებაზე ზრუნვაა. 34 წლის წინ ჩემი და კომპანია ,,ბორჯომის“ გზები გადაიკვეთა და ბავშვთა ფედერაციის პირველი მეგობარიც გამოჩნდა. დღეს, ბევრისთვის „ბორჯომი“ ასოცირდება ფესტივალ „ბროლის ნაძვთან“, მუსიკალურ საღამოებთან, ხელოვნების ბანაკებთან, თითოეული ახალი იდეის უცვლელი მხარდამჭერი კომპანია „ბორჯომი“ იყო, ერთად ვატარებდით ფესტივალებს, რომლებიც ნებისმიერი ქალაქის ცხოვრებას განსაკუთრებულად უხდება“, - ასე იხსენებს ქეთევან ნოზაძე ისტორიას, რომელიც წლების წინ დაიწყო და ახლაც გრძელდება. კომპანია „ბორჯომის“ მხარდაჭერით, 10 წლის წინ დაფუძნდა ბორჯომის ტრენინგ ცენტრი, რომლის მთავარი იდეაც მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვაა. ეს არის არაფორმალური განათლების ადგილი, სადაც მოსწავლეები ბორჯომიდან და ბორჯომის შემოგარენიდან, საერთო ინტერესების თანატოლებს ხვდებიან და სხვადასხვა მიმართულებით იღებენ განათლებას.

-„ჩემი ოცნება იყო, შემექმნა არაფორმალური განათლების ცენტრი, რომელიც იქნებოდა უფასო და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი. კომპანია „ბორჯომის“ დახმარებით, ეს ოცნება რეალობად იქცა. 10 წლის განმავლობაში ბორჯომის ტრენინგ ცენტრში, 5000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო განათლება და თავისი ინტერესის მიხედვით, სხვადასხვა კლუბში გაერთიანდა. ბორჯომის ტრენინგ ცენტრი საოცარი მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება ერთად იზრუნონ მომავალი თაობის აღზრდა-




სა და განვითარებაზე არასამთავრობო ორგანიზაციამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და კერძო ბიზნესმა“.

ყოველ წელს მოსწავლეების ინტერესების მიხედვით იგეგმება ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც ბორჯომის ტრენინგ ცენტრს, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. მოსწავლეებს აქ მოსვლა უხარიათ, ლაღი, მეგობრული და თავისუფალი გარემო მათ განვითარებას უწყობს ხელს. ისინი აქტიურ მოქალაქეებად ყალიბდებიან და ქალაქს ახალ სიცოცხლეს სძენენ. საქმე, რომელიც დიდ სიყვარულთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობასაც მოითხოვს, ქეთი ნოზაძისთვის ყოველდღიურობაა, რომელიც უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს, რომელსაც გარშემომყოფებსაც უზიარებს და ყოველწლიურად ამ ისტორიის გარშემო ახალ ადამიანებს აერთიანებს.

**ბორჯომის გულშემატკივარი:**
**ნათელა გრიგალაშვილი**

### სპორტი

## მაგიდის ჩოგბურთში გაიმართება ჩემპიონატი

**ბორჯომის მუნიციპლიტეტის ინიციატივით მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონატი გაიმართება.**

**ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყო.**

**I ადგილზე გასულ მონაწილეს 600 ლარი, II ადგილზე გასულ მონაწილეს 300 ლარი, ხოლო III ადგილზე გასულ მონაწილეს 100 ლარი გადაეცემა.**

**განცხადებების მიღება დაწყებულია.**

**მაგიდის ჩოგბურთში მონაწილეობის მსურველებს რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში, ასევე ჩემპიონატის დღეს სასპორტო სკოლის დარბაზში.**

**ინფორმაციისათვის დარეკეთ ნომრებზე: 591 959 541**

## ტრაგედია



**34 წლის მთამსვლელს, ექიმს, შესანიშნავ პიროვნებას, არჩილ ბადრიაშვილს მთელი სპორტული სამყარო დასტირის, იგი მწვერვალ შხელდაზე მეხის დაცემის შედეგად დაიღუპა.**

**არჩილს თავის განუყრელ მეგობრებთან ბორჯომელ ბაქარ გელაშვილთან და გიორგი ტეფნაძესთან ერთად არაერთხელ დაუპყრიათ 7 ათას მეტრიან სიმაღლეების მწვერვალები და წარმატებული მთამსვლელის სანუკვარი ჯილდო ოქროს წერაყინი დაუმსახურებიათ. ვაგლახ, რომ ამ სახელოვან მთამსვლელებს შესანიშნავი მეწყვილე გამოაკლდათ.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა ტრაგიკულად დაღუპული სახელოვანი მთამსვლელი.**



ლუიზა რევაზიშვილი შვილებით და შვილისშვილებით, მარიზა ჯიქია ოჯახით იუწყებიან

**არჩილ თედიაშვილის**

გარდაცვალებას.

გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მარიზა ჯიქიას დეიდაშვილის

**არჩილ თედიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე